პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 16 (404) პარასკევი, 21 აპრილი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

# ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით

80 წლის წინათ, 1870 წლის 22 აპრილს, ქალაქ სიმბირსკში დაიბადა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, მშრომელი კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ახალ-ახალი გამარჯვებების ვითარებაში. დიდსამშობლოს მშრომელები, ასიათასობით ადამიანები ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ლენინიზმის უკვდავი იდეებით შეიარაღებულნი, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული ახალი ეპოქის შექმნა, რომელმაც უდიდესი ძვრები მოახდინა მსოფლიო ისტორიაში.

დაუფასებელია ლენინის მოძღვრების მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ამ მოძღვრებამ დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ჩაგრულსა და დამონებულს ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ გაუხსნა გზები. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები ლენინის მიმართ უდიდესი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით არიან აღსავსენი.

ლენინის დროშა! იგი შეურყევლად ეფინა ჩვენი ქვეყნის მშრომელთ ოქტომბრის დღეებში; ლენინის დროშა გზის მანათობელი ვარსკვლავი იყო სოციალისტური მშენებლობის წლებში; ლენინის დროშა — ეს მრისხანე მახვილი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდში—მახვილი ვერაგი მტრის გამანადგურებელი; ლენინის დროშა აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ხალხი ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიდის. ლენინის უახლოესი თანამებრძოლის, მისი უკვდავი საქმის გენიალური გამგრძელებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ძლევამოსილი დიდსამშობლო დღითი-დღე სულ უფრო ძლიერი და წარმტაცი ხდება.

დიდი სტალინის მოღვაწეობაში ლენინის იდეები ცოცხლობენ, ვითარდებიან, ღრმავდებიან... ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო დღეს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალთა ბანაკის სათავეში დგას და ფხიზლად დარაჯობს მშვიდობის საკაცობრიო საქმეს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის მორალურ გამოწრთობასა და ფიზიკურ აღზრდას. „ჩვენს შრომითს ქვეყანაში საჭიროა ფიზიკურად გამძლე ადამიანთა, ნებისყოფის, მამაცი, ენერგიული, მტკიცე ადამიანთა მილიონიანი არმიები. მათ ეკუთვნით მომავალი, მათი ხელით იქნება მოპოვებული ადამიანთა საზოგადოების ძირითადი საფუძვლების მშენებლობის უფლება", — წერდა იგი.

ვ. ი. ლენინის მითითებებმა მშრომელთა ფართო მასების ფიზიკური აღზრდის შესახებ ჩვენს ქვეყანაში სრული განხორციელება მოიპოვეს. ლენინის იდეები საფუძვლად დაედო საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას,—იგი ხომ ამბობდა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება ხალხის სამსახურს უნდა დაუქვემდებაროთ.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა აღმავლობის გზაზეა. სოციალისტური სამშობლოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმია, ლენინის ძვირფასი იდეების მტკიცე დამცველი, მშობლიური სტალინის მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოცული, ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რათა კომუნიზმისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანოს და ახალი მაღალი მიღწევებით შრომაში, სწავლასა და სპორტში ახახელოს დიადი სახელმწიფო—შექმნილი ლენინისა და სტალინის მიერ.



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები გულმოდგინედ ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. სურათზე: მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე დოცენტი ნ. ჩახვაშვილი II კურსის სტუდენტებთან ატარებს საუბარს თემაზე: ი. ბ. სტალინი — ვ. ი. ლენინის შესახებ.

ფოტო ნ. ვოლკოვისა



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

## მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის შესახვედრად

### დედაქალაქის ლენინის რაიონში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლენინის რაიონის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები ახალი წარმატებებით ხვდებიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს.

საელმავლო დეპოს ახალგაზრდობამ თავისი ძალებით მოაწყო სპორტული ბაზა, რომლის საზეიმო გახსნა მოხდება 29 აპრილს. ამ დღეს ახალ მოედანზე პირველად გამოვლენ რკინიგზელი ფიზკულტურელები.

სამი კვირის წინათ სპორტული მოედნის აგება დაიწყეს ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდებმა. აქ დადგამენ კალათბურთის ფარებს, მოაწყობენ ფრენბურთის მოედანს, ტანვარჯიშის ბაქანს, მძლეოსნურ სექტორებს.

დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად 2 მაისს გაიმართება რაიონის კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრები. გარდა ამისა, 25 აპრილს მოეწყობა საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რკინიგზის სამმართველოს, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოების 50 უძლიერესი მოჭადრაკე.

პირველი მაისისათვის გაცხოველებით ემზადებიან რაიონის სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

ქალთა მე-20 საშუალო სკოლის 150 მოსწავლემ ახლახან მოაწყო რვაკილომეტრიანი ლაშქრობა, რომლის მიზანი იყო მშთ ნორმების ჩაბარება. ეს ნორმები 42 მოსწავლეს უკვე ჩაბარებული აქვს ყველა სახეობაში, გარდა წინაღობათა ზოლის გადალახვისა. ამჟამად ისინი ამ სახეობაშიც ენერგიულად მეცადინეობენ, რათა პირველ მაისამდე ნორმატივები მთლიანად ჩააბარონ.

### სტახანოვურ ვახტზე

შრომასა და სპორტში ახალი მაღალი მაჩვენებლებით ეგებებიან საერთაშორისო დღესასწაულს—1 მაისს თბილისის რადიოქარხნის ახალგაზრდა მუშები.

პირველი მაისის აღსანიშნავად ქარხნის სპორტსმენები დადგნენ სტახანოვურ ვახტზე. მათ გადაწყვეტილი აქვთ ეს თარიღი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ. ფრენბურთის გუნდის კაპიტანი რ. ბუროვი აპრილის თვის გეგმას 300 პროცენტით ანაღდებს. ასევე წარმატებით მუშაობენ ფიზკულტურელები შ. მაისურაძე, დ. შიუკაშვილი და სხვ.

სტახანოვურ ვახტზე დგანან მოსამზადებელი საამქროს მუშებიც, რომელთა ხელმძღვანელია მოცურავე ს. ვართიკოვი. მათ ვალდებულება აიღეს საამქროს თვიური გეგმა 150 პროცენტით შეასრულონ.

საპირველმაისო ზეიმთან დაკავშირებით ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ჩაატარებს შეჯიბრებებს ჭიდაობაში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.

### მასობრივი შეჯიბრებები

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები წარმატებით ემზადებიან პირველი მაისის შესახვედრად, 300 თანრიგოსანი და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების 5.000 წევრი დადგა დღესასწაულის სახელობის სტახანოვურ ვახტზე.

აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური კომიტეტები თავიანთ სპორტულ მოედნებსა და სტადიონებზე ატარებენ დღესასწაულისადმი მიძღვნილ მასობრივ შეჯიბრებებს ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში.

ორ მაისს პიონერთა პარკში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება შესანიშნავი ფიზკულტურული ქალაქი.

### გაიხსნება სპორტული მოედნები

**სტალინირი.** (ჩვენი კორ.). მშრომელთა ზეიმის დღეებში ფიზკულტურის საოლქო კომიტეტი მთელ რიგ სპორტულ ღონისძიებებს ჩაატარებს.

სტალინირის ავტოსარემონტო სახელოსნოს, ხე-ტყის კომბინატისა და სხვა საწარმოთა ასზე მეტი ახალგაზრდა სპორტსმენი უკვე ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფიზკულტურელები ა. ასანიძე, მ. ბიბილოვი, ს. კორნაევი და სხვები ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 150-180 პროცენტით ასრულებენ.

ზეიმის დღეებში ხე-ტყის კომბინატთან და ქალთა მე-4 საშუალო სკოლასთან გაიხსნება ახალი სპორტული მოედნები, მძლეოსნობის სექტორები და სხვ. ქალაქის სკოლებში ჩატარდება სპარტაკიადები.

## დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი

**ბუდაპეშტი.** [illegible] ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას სმისლოვმა 56-ე სვლაზე მოუგო ბრონშტეინს, ფლორმა თავი დამარცხებულად სცნო ბოლესლავსკისთან, კერეს-შტალბერგის პარტია დამთავრდა კერესის გამარჯვებით, კოტოვ-ნაიდორფის და ბოლესლავსკი-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მესამე ტურის ცენტრალურ პარტიას წარმოადგენდა ბრონშტეინისა და კოტოვის შეხვედრა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ 32-ე სვლაზე კოტოვი დამარცხდა.

კერესის და საბოს (უნგრეთი) პარტია გადაიდო თანაბარ მდგომარეობაში.

სმისლოვმა არაზუსტად ჩაატარა დაცვა პარტიაში შტალბერგთან და 41-ე სვლაზე დანებდა. ყაიმით დამთავრდა ნაიდორფ-ბოლესლავსკის და ლილიენტალ-ფლორის პარტიები.

მეოთხე ტურის ყველა შეხვედრა დაძაბული ბრძოლებით დაიწყო და შესვენებისათვის მხოლოდ ორი პარტია — შტალბერგ-კოტოვისა და ფლორ-ბრონშტეინის—დამთავრდა ყაიმით.

ბოლესლავსკის და საბოს, სმისლოვისა და კერესის, ნაიდორფისა და ლილიენტალის პარტიები გადაიდო. თამაშის განუახლებლად მესამე ტურის გადადებულ პარტიაში კერესი და საბო ყაიმზე შეთანხმდნენ.

დაუმთავრებელი პარტიების გათამაშებისას საბოსა და ბოლესლავსკის და სმისლოვ-კერესის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, ნაიდორფმა მოუგო ლილიენტალს.

მეხუთე ტურში ბრწყინვალედ ჩაატარა პარტია ბრონშტეინმა, რომელიც თამაშობდა არგენტინის ჩემპიონს ნაიდორფის წინააღმდეგ. საბჭოთა დიდოსტატმა თეთრებით გაითამაშა ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი მწვავე ვარიანტი. უკვე მე-15 სვლაზე ნაიდორფი ჩავარდა კრიტიკულ მდგომარეობაში და 21-ე სვლაზე დანებდა კიდეც.

საინტერესოდ ჩაიარა კერესისა და კოტოვის შეხვედრამ, რომელიც 27-ე სვლაზე კერესის გამარჯვებით დამთავრდა.

საუცხოოთ თამაშობდა ფლორი შვედი შტალბერგის წინააღმდეგ. პარტია გადაიდო ფლორისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. გადაიდო აგრეთვე საბოსა და სმისლოვის შეხვედრა. ლილიენტალ-ბოლესლავსკის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან საბჭოთა დიდოსტატები კერესი და ბრონშტეინი, რომელთაც აქვთ 3,5 ქულა თვითეულს 5 შესაძლებლიდან.

## 8 ქალაქის უძლიერეს ფრენბურთელთა მატჩი

**ხარკოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.) ქალაქის „დინამოს" სასპორტო დარბაზში 9 — 16 აპრილს ჩატარდა 8 ქალაქის უძლიერეს ფრენბურთელთა ტრადიციული მატჩი.

ცხარე ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა, მეორე ლენინგრადის კოლექტივმა. თბილისელი ფრენბურთელები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

უძლიერესთა ტურნირის ცენტრალური მატჩი იყო თბილისელ და მოსკოველ სპორტსმენთა შეხვედრა.

პირველი ორი პარტია თბილისელთა გამარჯვებით —15:11 და 18:16 დამთავრდა. მესამე და მეოთხე პარტიებში გამარჯვებას მიაღწიეს მოსკოველებმა. მათ ასევე მოიგეს გადამწყვეტი შეხვედრა და მატჩიც — 3:2.

## კოლმეურნე მოჭადრაკეთა მეორე საკავშირო ტურნირი

**კიევი.** (ჩვენი სპეც. კორ.). აქ წარმატებით მიმდინარეობს კოლმეურნე მოჭადრაკეთა მეორე საკავშირო ტურნირი.

9 ტურის შემდეგ წინ მიდის ტიიტო (ესტონეთი)—7,5 ქულა, მას მიჰყვებიან აკბაროვი (ყირგიზეთი)—6,5 ქულა, ელიოზიშვილი (საქართველო), მეზენოვი (უკრაინა) და ტაილიევი (თურქმენეთი)—5,5 ქულა თვითეულს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბოლშევიკის“ მუშაობის საკითხი.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი (თავმჯდომარე ი. ჯიშკარიანი) სუსტად ხელმძღვანელობს ძირეულ კოლექტივებს, უხეშად არღვევს დემოკრატიის პრინციპებსა და საზოგადოების წესდებას. პრეზიდიუმის სხდომები იშვიათად იწვევა, საბჭოს აპარატის მუშაკები არ ასრულებენ მუშაობის გეგმებს. სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სასწავლო-სპორტული მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული, არ ტარდება აქტივთან მუშაობა. გეგმით გათვალისწინებული 470 კაცის ნაცვლად გასულ წელს მომზადებულია 12 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი. საზოგადოების ინსტრუქტორები იშვიათად მიდიან ადგილებზე დასახმარებლად.

რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები შეურიგდნენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს, ყურადღებას არ აქცევენ თვალის ახვევის ფაქტებს, ითმენენ ფიზკულტურულ სამუშაოზე შემთხვევითს ადამიანებს.

ბიურომ აღნიშნა აგრეთვე, რომ სპორტული საზოგადოების მწვრთნელმა მარქაროვმა შეადგინა ფიქტიური საბუთები ზოგიერთ ორგანიზაციაში მშთ ნორმატივების ჩაბარების შესახებ. საზოგადოების თავმჯდომარემ ი. ჯიშკარიანმა მწვრთნელებთან შეთანხმებით მიითვისა მათ მიერ ჩატარებული მუშაობის ასანაზღაურებლად გამოწერილი თანხის ნაწილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი სპორტული საზოგადოება „ბოლშევიკის“ მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ბიურომ დასვა საკითხი საქართველოს სსრ პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე: „ბოლშევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის გაძლიერებისა და საზოგადოების მუშაობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღების შესახებ; სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების თავმჯდომარის ი. ჯიშკარიანის მოხსნის შესახებ.

მწვრთნელი მარქაროვი ფიქტიური დოკუმენტების შედგენის, ყალბი ხელმოწერისა და თვალის ახვევისათვის გაირიცხა საკავშირო ალკკ რიგებიდან.

# ვინ როდის მივიდა ფინიშთან?..

## ასე „აბარებენ“ მშთ კომპლექსის ნორმებს ბათუმში

აპრილის ერთ-ერთ მზიან დილას 10 საათიდან ბათუმის პროსპექტებზე რბენა დაიწყეს ახალგაზრდობის არაორგანიზებულმა ჯგუფებმა.

— სამი კვარტალი გამოტოვე და ახლა ასე ძლიერ იმიტომ გამორბიხარ?!.

— ფინიშის ხაზიც კი არ იცი სად არის!

— ავტომობილის მოძრაობამ შემიშალა ხელი... დაუსრულებლად კამათობდნენ შეჯიბრების მონაწილეები.

ესენი იყვნენ ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც ამ დღეს მშთ კომპლექსის ნორმები უნდა ჩაებარებინათ სხვადასხვა მანძილზე რბენაში.

მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. დანიშნულ ადგილას მსაჯთა კოლეგიის 14 წევრი არ გამოცხადდა.

მეორე დღეს, როცა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის ინსპექციაში აღნიშნული საკითხის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა, მთავარმა მსაჯმა ა. კუკმა განაცხადა:

— მშთ ნიშანზე მასობრივი ჩაბარება და გუნდური შეჯიბრება არაორგანიზებულად ჩატარდა იმის გამო, რომ მსაჯები არ გამოცხადდნენ და მათ მაგივრად შემთხვევითი ხალხის გამოყენება დამჭირდა.

რა გამოირკვა ბოლოს?

თურმე ნუ იტყვით, ამ არეულობის მიუხედავად 20 ახალგაზრდას მაინც ჩაუბარებია მშთ კომპლექსის ნორმები.

ეს მეტად საეჭვო ამბავია, რადგან არავინ იცის ფინიშთან ვინ როდის მივიდა.

ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს საქმის ვითარება და აღმოფხვრას თვალის ახვევის ფაქტები მშთ ნორმატივების ჩაბარებაში.

**პ. სახეჩიძე**
**(ჩვენი საკ. კორ.).**

**ბათუმი.**

# მოკლე სიგნალი

ფარიკაობა სპორტის საინტერესო სახეა, მაგრამ მის განვითარებას სტალინირში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ქალაქში ფარიკაობის სექცია მხოლოდ სპორტულ სკოლაში მუშაობს, მაგრამ მას არ გააჩნია საჭირო ინვენტარი, რის გამო მეცადინეობა ხშირად იფუშება. სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები არ ფიქრობენ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

**ნ. ზადიშვილი**

**სტალინირი**



**თბილისელ მძლეოსანთა შეჯიბრება. სურათზე: სპორტის ოსტატი ლ. სანაძე 100-მეტრიანი გარბენის ფინიშზე.**

ფოტო კ. კრიმსკისა

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ „ლელოს“ ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

ყოველი სპორტსმენი თავგამოდებით უნდა ცდილობდეს დაიცვას თავისი კოლექტივის პრესტიჟი და მოედანზე წარმატებას აღწევდეს გუნდთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობით. ეს მით უმეტეს ითქმის სპორტის დამსახურებულ ოსტატზე, რომელიც მოვალეა მაგალითი მისცეს ფიზკულტურელებს და დაეხმაროს მათ სპორტული ოსტატობის დაუფლებაში. საბჭოთა სპორტსმენის ეს საყოველთაოდ აღიარებული თვისებები მე ვერ გამოვიჩინე კიევში ჩატარებული ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური საკავშირო პირველობის დროს.

როგორც ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა გუნდის ერთ-ერთი წევრი, მე რომ ამ შეჯიბრებაში გამოვსულიყავი, შესაძლოა, გუნდს უკეთესი შედეგებისათვის მიეღწია.

ამაში ღრმად დავრწმუნდი იმ კრიტიკის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე ჩემს მიმართ.

ეს კრიტიკა სამართლიანად მიმაჩნია და იგი დამეხმარება ჩემს შემდგომ საქმიანობაში.

სიტყვას ვიძლევი მომავალი მუშაობით გამოვასწორო ეს შეცდომა და არ დავზოგო ენერგია, რათა გადავცე სპორტსმენებს ჩემი გამოცდილება და დავეხმარო მათ ოსტატობის დონის ამაღლებაში.

**ა. ჯორჯაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

# მეტი ყურადღება საექიმო კონტროლს

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ქალაქის სპორტულ დარბაზებთან ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი საექიმო კაბინეტები. ხშირად სპორტული შეჯიბრებები ტარდება ექიმის დაუსწრებლად.

საჭიროა პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ქალაქის სპორტულ დარბაზებში მოეწყოს საექიმო კაბინეტები და დაკომპლექტდეს კვალიფიციური სპეციალისტებით.

**ა. ტორჩინავა,**
**ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ანატომია-ფიზიოლოგიის კათედრის ლექტორი.**



**ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე მონადირეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სასტენდო სპორტი. გასულ წელს მახარაძის რაიონის მონადირეთა ამხანაგობამ მოაწყო სანგრიანი სტენდი, სადაც დადგმულია თეფშების ჰაერში ასაგდები ექვსი მანქანა. სტენდზე ხშირად ეწყობა საწვრთნელი მეცადინეობები და შეჯიბრებები.**
**სურათზე: კოლმეურნე მონადირენი მეცადინეობენ სტენდზე.**

ფოტო ნ. ვოლკოვისა

# სტუდენტთა ასპარეზობა

ყოველდღე 3 საათიდან გვიან შებინდებამდე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კეთილმოწყობილ სასპორტო დარბაზებსა და მოედნებზე ძლიერებასა და სიმარჯვეში ერთმანეთს ასობით სტუდენტი-სპორტსმენი ეჯიბრება. უნივერსიტეტს თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე არ ახსოვს ასეთი მასობრივი და ხანგრძლივი ასპარეზობა. ეს სტუდენტთა პირველი სპორტული დღესასწაული — სპარტაკიადაა.

შტანგისტთა შეხვედრებში 48 ზრგე ვაჟკაცი მონაწილეობდა. ორი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდნენ შ. ადამია (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), გ. გაფრინდაშვილი (ეკონომიკის ფაკულტეტი), ზ. ლეშკაშელი (ისტორიის ფაკულტეტი), ო. ჰიჭინაძე და ა. ენდელაძე (ორივე ეკონომიკის ფაკულტეტიდან). მძიმე წონის ძალოსანმა ა. ენდელაძემ უნივერსიტეტისა და „ნაუკას“ ორი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა: ორი ხელით აჰკრა 137,5 კილოგრამი და სამჭიდში აჩვენა 325,0 კილოგრამი. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ეკონომიკის ფაკულტეტის ძალოსნებმა.

საზაფხულო რინგზე უნივერსიტეტის ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის იბრძოდა 60 სტუდენტი. კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს პირველთანრიგოსნებმა ჯ. მეძმარიაშვილმა და გ. ქველიძემ. 6 დღის ბრძოლების შედეგად უნივერსიტეტის ჩემპიონები გახდნენ: გ. ჩარექიშვილი, ჯ. მეძმარიაშვილი, გ. ქველიძე, უ. ჰიჭინაძე, ო. გერსამია, ა. თუჯიშვილი და ნ. წურწუმია.

პირველი და მეორე გუნდური ადგილი გაიყვეს იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტების მოკრივეთა კოლექტივებმა.

ამჟამად გრძელდება შეჯიბრებები ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში.

12 დღის შედეგების მიხედვით (მძლეოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, კრივი და ძალოსნობა) პირველ ადგილს ინარჩუნებს იურიდიული ფაკულტეტი.

სპარტაკიადას ყოველდღე ასობით მაყურებელი ესწრება.

**დ. გულისაშვილი**

# საკავშირო რეკორდი

**თბილისელმა ველოსიპედისტებმა საზაფხულო სპორტული სეზონის პირველივე დღეები მაღალი მიღწევებით აღნიშნეს.**

**16 აპრილს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ველოსტადიონზე ნიჭიერმა ახალგაზრდა ველოსიპედისტმა, თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლემ ე. ჯიმშელეიშვილმა 500 მეტრზე გიტში აჩვენა 39,9 წამი, რაც წარმოადგენს ახალ საკავშირო რეკორდს ჭაბუკთათვის. ძველი რეკორდი (40,3) მოსკოველ ს. ცერევიტინოვს ეკუთვნოდა და დამყარებული იყო 1949 წელს.**

**ე. ჯიმშელეიშვილმა აგრეთვე გაიმეორა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი გიტში 200 მეტრზე —14,1.**

**17-18 წლის გოგონებისათვის რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ნ. მამულაიშვილმა მან 200 მეტრზე გიტში აჩვენა 17,6.**

**სურათზე: ე. ჯიმშელეიშვილი დისტანციაზე და რეკორდის დამყარების შემდეგ**

ფოტო ე. ბარშახისა



# უმნიშვნელოვანესი საქმის შეუფასებლობა

**ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა თვითდინებაზეა დაყრდნობილი**

უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების მიერ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული ახალგაზრდობის ფიზიკური და მორალური გამოწრთობა. იქ, სადაც გულმოდგინედ და სიყვარულით ეკიდებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას, ფიზკულტურული საქმიანობა მაღალ საფეხურს აღწევს.

სამწუხაროდ, ასე როდი მუშაობს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ხელმძღვანელობა. გაოცებას იწვევს თუნდაც ის ფაქტი, რომ არც კათედრის გამგე ამხ. ვ. თევზაძემ, არც ფიზკულტურის მასწავლებლებმა ს. კერესელიძემ და ა. აირაპეტოვამ არ იციან რამდენი ფიზკულტურელია ინსტიტუტში (!). უფრო მეტიც: ამხ. ს. კერესელიძემ ვერც კი გვიპასუხა შეკითხვაზე, თუ რამდენი საათი აქვს მას დათმობილი კვირაში ამ საგნისათვის. ამის შემდეგ რა სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხარისხიანობაზე შეიძლება ლაპარაკი?!

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სია არც ძირეული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ჩიჩახიშვილს აღმოაჩნდა.

— როგორ მუშაობენ სპორტული სექციები?

მათი საქმიანობა მთლიანად ჩაშლილია. ინსტიტუტში არც კი იციან, თუ ვინ რომელ სექციაში მეცადინეობს. ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელები გაფორმებული საბუთების წარმოდგენაზე „თავს იკავებენ“.

შეკითხვაზე, თუ როგორ ეხმარება კათედრა ძირეულ-ფიზკულტურულ ორგანიზაციას, კათედრის გამგისაგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „ძირეული კოლექტივის საბჭო ჩვენ უნდა გვეხმარებოდეს მუშაობაში, კათედრამ კი მას რა დახმარება უნდა გაუწიოსო?“ აი, როგორ ესმით აქ კათედრისა და ძირეული კოლექტივის საბჭოს ურთიერთკავშირი და მათი შეთანხმებული საქმიანობა.

ინსტიტუტში აქამდე არც კი უფიქრიათ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების, მძლეოსნობის სექტორებისა და სპორტული დარბაზის მოწყობაზე. ინსტიტუტის ადმინისტრაცია, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ამ მდგომარეობას წლების განმავლობაში გულდამშვიდებით შესცქერიან და არავითარ ზომებს არ იღებენ ამ არანორმალური ვითარების გამოსასწორებლად.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ინსტიტუტის ტერიტორიაზე სტუდენტთა ინიციატივით გაკეთდა ფრენბურთის მოედანი. ერთი თვე დიდი მონდომებით იმუშავეს ფიზკულტურელებმა მოედნის გამშვენიერებაზე, მაგრამ დახეთ უბედურებას! ინსტიტუტის დირექტორის მოსკოვში ყოფნის დროს მისმა მოადგილემ ამხ. კ. ივანოვმა განკარგულება გასცა გაეუქმებინათ ერთადერთი სპორტული ბაზა. მისი ბრძანება შესრულებულ იქნა. მოედანზე მრავლად მოზიდეს სხვადასხვა სამშენებლო მასალა, რომელსაც „დარაჯად“ ტრაქტორი დაუყენეს.

ამრიგად, ფრენბურთის მოედანი გაუქმებულად ჩაითვალა.

სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის ინსტიტუტში თავს არ იწუხებენ. სუსტია სასწავლებლის წარმომადგენელთა შედეგები სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნაუკას“ ხელმძღვანელთა დახმარება ინსტიტუტის ძირეული კოლექტივისადმი მხოლოდ კანცელარიული მიწერ-მოწერით ამოიწურება.

რა უშლის ხელს ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტთა შორის ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის შესაფერის დონეზე დაყენებას?

დაე, ამ კითხვაზე პასუხი გასცენ ინსტიტუტის დირექციამ, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

**ი. ქადაგიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოედნებზე

**სსრ კავშირის XII ჩემპიონატი**

## თანაკლუბელთა მატჩი

### 3:1 ჩემპიონის სასარგებლოდ

### I. ალამი აღმართულია!

ათასობით თბილისელები დაუსრულებელ ნაკადად მიემართებოდნენ გასულ კვირას ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონისაკენ.

გაზაფხულის შესანიშნავი დღეა. სტადიონის ახლადშეკეთებული ტრიბუნები ვერ იტევს მაყურებელს.

სტადიონის მწვანე მინდორზე ჩამწკრივდა 500 ფეხბურთელი. წინ დგას „ა“ კლასის ოთხი გუნდი—სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“, თბილისისა და მინსკის „დინამო“ და თბილისის „სპარტაკის“ ახალგაზრდა გუნდი — გასულ წელს მეორე ჯგუფის კოლექტივთა ტურნირში გამარჯვებული.

სსრ კავშირის XII პირველობის მონაწილეებს და თბილისის ფეხბურთელთა გუნდებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა.

... ანძასთან მივიდნენ ოსტატთა გუნდების კაპიტნები ლ. სოლოვიოვი, გ. გაგუა, პ. მიმრიკი და ვ. ლომაია. გაისმა სახელმწიფო ჰიმნი და მაღლა აღიმართა ალისფერი ალამი სსრ კავშირის 1950 წლის პირველობისა.

### II. თბილისელები ხსნიან ანგარიშს

საკავშირო კატეგორიის მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი) მოედანზე იხმობს ჩვენი ქვეყნის პირველობის მატჩის მონაწილეებს.

მოსკოველთა შემადგენლობაში არიან: ხომიჩი; პეტროვი, ზიაბლიკოვი, ივანოვი; ა. სოკოლოვი, ლ. სოლოვიოვი; ტროფიმოვი, კონოვი, სავდუნინი, ბესკოვი და სალნიკოვი. თბილისის „დინამოს“ გუნდში თამაშობენ: მარღანია; გაგუა, ძიაპშიპა. სარჯველაძე; ანთაძე, გარიშვილი; გრამატიკოპულო, მახარაძე, ზაზროშვილი, ლოლობერიძე და თოდრია.

გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა და ზაზროშვილს ბურთი თამაშში შეჰყავს. მე-2 წუთზე ძიაპშიპას მიერ დაშვებული შეცდომის გამო მოსკოველებს საშუალება მიეცათ გახსნან ანგარიში, მაგრამ მარღანია შესანიშნავ რეაქციას ამჟღავნებს და 4-5 მეტრიდან სავდუნინის მიერ დარტყმულ ყუმბარისებურ ბურთს იგერიებს.

მალე გრამატიკოპულოსაც მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ იგი ურტყამს შტანგის გვერდით. გუნდები ნერვიულობენ, დაცვის ხაზები ზუსტად ვერ თამაშობენ. მასპინძლები აძლიერებენ სტუმრების კარების იერიშებს და ამან 22-ე წუთზე თავისი შედეგიც გამოიღო. ლოლობერიძემ წაართვა ბურთი ზიაბლიკოვს, ლამაზად გაიგდო წინ, გავიდა პირით ხაზზე და ჩააწოდა ცენტრში. აქ მოუსწრო მახარაძემ და თავური გარტყმით ბურთი ბადეში გაახვია — 1:0. თბილისელები განაგრძობენ იერიშებს. მაგრამ 27-ე წუთზე 50 წამის განმავლობაში (!) თბილისელების დამცველთა შეცდომები საუკეთესოდ გამოიყენა სავდუნინმა და ანგარიში გახდა 2:1 სტუმრების სასარგებლოდ.

ასე გრძელდებოდა მოსკოველთა უპირატესობა და თამაში გათანაბრდა მხოლოდ ტაიმის ბოლოს. მე-40 წუთზე გარიშვილის უხეშობის შედეგად მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს საჯარიმო და ღიად დარჩენილმა კონოვმა მესამე ბურთი გაიტანა. გუნდები წავიდნენ დასასვენებლად.

### III. უშედეგო იერიშები

თამაშის მეორე ნახევარი პირველი 5-6 წუთის გამოკლებით ჩატარდა თბილისელთა აშკარა ტერიტორიული უპირატესობით. მათ მიაწოდეს 6 კუთხური დარტყმა, 3 უძნელესი ბურთი აიღო ხომიჩმა და, შეძლო რა აქტიური თავდასხმების მოგერიება, ჩემპიონმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა —3:1.

### IV. რატომ წააგეს თბილისელებმა

საკავშირო პირველობაში 36 ტური გათამაშდება. ცხადია 19 გუნდიდან დაუმარცხებელი არც ერთი არ დარჩება. ერევნის გუნდთან მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის ფრედ დამთავრება და მოსკოვის „სპარტაკის“ დამარცხება სტალინგრადში ადასტურებენ იმას, რომ ამ ტურნირში არ არის „სუსტი“ და „ძლიერი“. ყოველ „სუსტს“ შეუძლია მოუგოს „ძლიერს“ და ამიტომ თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა დამარცხებამ არ უნდა გამოიწვიოს ნაჩქარევი დასკვნები, გულგატეხილობა. საჭიროა ამ მარცხის კრიტიკული ანალიზი და მისგან სათანადო დასკვნების გამოტანა, რომ ამით თბილისის სახელოვანმა გუნდმა მომავალში არ გაიმეოროს მსგავსი შეცდომები.

რით აიხსნება წარუმატებლობა? გავარჩიოთ მისი მიზეზები: პირველ რიგში იგი აიხსნება თავდაცვის სუსტი თამაშით. ძიაპშიპამ პირველსავე წუთებში გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, განერვიულდა და მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიზუსტით ვეღარ ითამაშა. გვერდითმა მცველებმა ვერ შეძლეს მოწინაალმდეგეთა ნეიტრალიზება.

ნახევარდაცვაში არ თამაშობდა პანიუკოვი, ამის გამო ეს ხაზი შესუსტებული იყო. მხოლოდ ანთაძემ ჩაატარა მატჩი კარგად და მონდომებით.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა აგრეთვე თავდასხმის თამაში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის თავდამსხმელები სჯობნიდნენ მოსკოველებს სისწრაფეში და არ ჩამოუვარდებოდნენ ტექნიკით, ისინი გატაცებული იყვნენ ინდივიდუალური თამაშით და ამით აქარწყლებდნენ თავიანთ უპირატესობას.

ხომიჩი და მარღანია თამაშში 28-ჯერ ჩაებნენ. მაგრამ თუ მოსკოვის მეკარემ თბილისელთა თავდამსხმელების არაზუსტი დარტყმების შედეგად 12-ჯერ უკუაგდო ბურთი თავისუფალი დარტყმით და 7-ჯერ გამოიჭრა ბურთის დასაჭერად, მარღანია 16-ჯერ გამოიჭრა კარიდან ბურთის ასაღებად (ეს ნიშნავს იმას, რომ მოსკოველები უფრო ხშირად უახლოვდებოდნენ და მწვავე იერიშები მიჰქონდათ მოწინაალმდეგის კარზე) და სულ 4-ჯერ შეიყვანა ბურთი თამაშში თავისუფალი დარტყმით.

მოსკოველებმა გაიტანეს 3 ბურთი, 5 ბურთი აიღო მარღანიამ და მხოლოდ 4 იერიში აღმოჩნდა უშედეგო. ამრიგად უფრო მოქნილმა ტაქტიკამ სტუმრებს გამარჯვება მოუპოვა.

**ი. ელიაძე**

* * *

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ოსტატთა გუნდები.

მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 3:1.

* * *



მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მატჩი ორივე საჯარიმო მოედანზე მეტად დაძაბული მომენტებით აღინიშნა. **სურათზე:** თბილისელთა მეკარე ვ. მარღანია იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო ქ. ყუფარაძისა



თბილისის „სპარტაკმა“ პირველი გოლი მინსკელთა კარებში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. **სურათზე:** მინსკის „დინამოს“ მეკარე ტარაბრინი უშვებს პირველ ბურთს.

ფოტო მ. დათუაშვილისა

## კოლექტიური თამაში გამარჯვების საწინდარია

### თბილისის „სპარტაკის“ პირველი მოგება

**17 აპრილს** რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები კვლავ მრავალათასიანი მაყურებლით აივსო. ამ დღეს გასული წლის მეორე ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „სპარტაკი“ მინსკის დინამოელებს შეხვდა.

თამაშის პირველ წუთებიდანვე სპარტაკელთა თავდასხმის ხუთეული მოწინააღმდეგის კარების სასტიკ იერიშზე გადავიდა. ცენტრალური თავდამსხმელის ა. პაიჭაძის უნარიანი ხელმძღვანელობით თბილისელებმა სტუმრების დაცვის ზღუდეები შედარებით ადვილად გადალახეს და შეიტანეს რა დეზორგანიზაცია მოწინააღმდეგის რიგებში, რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს. 10-15 წუთის განმავლობაში მინსკელები სამჯერ გადარჩნენ აშკარა გოლს — მასპინძლები არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

ბურთის „ერთი შეხებით“ გათამაშება, რგოლებს შორის მტკიცე კავშირი და თავგამოდებული ურთიერთდახმარება (განსაკუთრებით ნახევარდამცველების გუგუნავასი და კილაძის აქტიური კონტაქტი წინა ხაზთან), თავისუფალ ადგილზე საზრიანი გასვლა, სწრაფი ტემპი — აი ის თვისებები, რომლებიც სპარტაკელთა ახალგაზრდა გუნდმა გამოამჟღავნა განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

კოლექტიური თამაში! ამ დევიზით ჩაატარა გუნდმა თავისი დებიუტი „ა“ კლასში და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

მინსკელთა დაცვასა და ნახევარდაცვას მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდათ. მათი ცენტრალური მცველი მიმრიკი ძლივს აკავებდა ენერგიულ პაიჭაძეს, მაგრამ მე-20 წუთზე ლამაზი კომბინაციის შედეგად სპარტაკელთა თავდასხმის ლიდერი სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანში, სადაც მოცელილ იქნა. საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. არხიპოვმა (მოსკოვი) 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, რომელიც კარგად გამოიყენა „დაზარალებულმა“ და თბილისელთა კოშკურაზე ციფრი „1“ აღიმართა.

შესვენების შემდეგ ინიციატივა მინსკელებმა იგდეს ხელთ. ახლა მასპინძელთა დაცვასა და მეკარე იოსელიანს მოუხდათ მთელი ენერგიის დაძაბვა. სპარტაკელთა მეკარემ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

მე-17 წუთზე ერთ-ერთი მორიგი შეტევის დროს მინსკელთა მარჯვენა შუამარბმა ეგოროვმა საპასუხო ბურთი გაიტანა. 1:1.

თბილისელები თითქოს დაიბნენ... მაგრამ მათ ძალღონე მოიკრიბეს და მატჩის ბოლო 25 წუთი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა.

32-ე წუთზე ლომაიამ (მეორე ნახევარში მან ი. ბურჭულაძე შეცვალა) გარღვევაზე გაიყვანა პაიჭაძე. უკანასკნელმა 15 მეტრიდან შესანიშნავი დარტყმით ბურთი მაღლა კარის მარჯვენა კუთხეში გაგზავნა. მეკარე ტარაბრინის ნახტომი ამაო გამოდგა.

ანგარიშით 2:1 „სპარტაკის“ სასარგებლოდ დამთავრდა ეს საინტერესო და დაძაბული მატჩი.

**მ. გიაძე**

## მოკლედ

ვბეჭდავთ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შეხვედრების შედეგებს: „ტორპედო“ (სტალინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2:0, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:2:, „ნეფტიანიკი“ — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:4, „დინამო“ (ერევანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1, „შახტიორი“ — „დაუგავა“ 1:0, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი)—„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1, „ტორპედო“ (სტალინგრადი) — ცდკა 1:1, „დინამო“ (ერევანი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1, „შახტიორი“ — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:1, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:0.

* * *

დუბლშემადგენლობათა შეხვედრებმა შემდეგი შედეგები მოგვცა: „სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 2:3, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:2, „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2:1. ამ მატჩში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ.

# სიტყვა ეძლევა მწვრთნელებს

**გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების მწვრთნელებს მიმართა შეკითხვით, თუ რა შანსები აქვთ მათ გუნდებს პირველობისათვის ბრძოლაში და რომელ კოლექტივებს თვლიან ისინი თავიანთ ძირითად კონკურენტებად.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ მათ პასუხებს.**

### მიხეილ იაკუშინი

**მოსკოვის „დინამო“**

გუნდს მშვენივრად ესმის, რომ ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. ჩვენც მიზნად დავისახეთ შევინარჩუნოთ ჩემპიონის დროშა ისეთ გამოცდილ მოქიშპეთა წინააღმდეგ ბრძოლებში, როგორიც არიან მოსკოვის „სპარტაკი“, ცდკა, მოსკოვის „ტორპედო“, თბილისისა და ლენინგრადის „დინამო“.

### კონსტანტინე კვაშნინი

**მოსკოვის „ტორპედო“**

ჩვენი პირველი ამოცანაა შევინარჩუნოთ გასულ წელს მოპოვებული სსრ კავშირის თასი და XII ჩემპიონატის ცხრილში საპრიზო ადგილი დავიკავოთ. თანაბარ მოწინააღმდეგედ ყველა 18 გუნდი მიგვაჩნია, მით უმეტეს ამჟამად, როცა ჩვენი კოლექტივის მთელი რიგი მოთამაშეები ავადმყოფობის გამო ჯერ კიდევ ვერ არიან სპორტულ ფორმაში.

### ბორის არკადიევი

**ცდკა**

ტურნირის ყველა 36 მატჩში ღირსეულ პარტნიორებთან გვექნება საქმე, მაგრამ განსაკუთრებით სასტიკი მოწინააღმდეგეები არიან მოსკოვისა და თბილისის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“ და „სპარტაკი“.

ჩვენი ამოცანაა დავიბრუნოთ დროშა და თასი. გუნდი საერთოდ კარგ მდგომარეობაში იმყოფება, — ყველა ხაზზე საიმედო რეზერვები გაგვაჩნია.

### აბრამ დანგულოვი

**მოსკოვის „სპარტაკი“**

გასული წლის საკავშირო ტურნირში ჩვენ კვლავ მესამე ადგილი დავიკავეთ და სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავედით. ამ შედეგებით ჩვენ უკმაყოფილონი ვართ, განსაკუთრებით სათასო გათამაშების გამო, სადაც მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩის მსვლელობის დროს ფინალში გასვლის შესაძლებლობა გვქონდა.

მიზნად დავისახეთ 1950 წელს უკეთესად ვითამაშოთ. კოლექტივი მტკიცედაა შემჭიდროებული, თუმცა მას რამდენიმე სუსტი ადგილი გააჩნია. მაგრამ ჩვენ შევეცდებით კოლექტივის კარგ ტრადიციას არ ვუღალატოთ და უკეთესი წარმატებების მოპოვებისათვის ვიბრძოლოთ. ამის საწინდარია ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენთა საიმედო მარქაფი. წლევანდელი მატჩები იოლი როდი იქნება. კონკურენტებად ვთვლით ცდკა-ს, მოსკოვის „ტორპედოს“, მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს.

### კონსტანტინე ლემეშოვი

**ლენინგრადის „ზენიტი“**

მოსკოვის, თბილისისა და კიევის „დინამო“, დედაქალაქის სამი გუნდი —ცდკა, „სპარტაკი“ და „ტორპედო“ —აი ექვსი მთავარი მეტოქე, რომლებთანაც ვიბრძოლებთ პირველ ხუთეულში ადგილის მოსაპოვებლად.

ჩვენი გუნდის ამოცანაა — გააუმჯობესოს წარსული წლის მიღწევა. გუნდს კარგი საბრძოლო განწყობილება აქვს. გვსურს პირველსავე მატჩებში წარმატებით გამოვიდეთ.

### ანდრო ჟორდანია

**თბილისის „სპარტაკი“**

ჩვენი გუნდის მთავარი ამოცანაა— ისწავლოს, ისწავლოს და კიდევ ისწავლოს ფეხბურთის ოსტატობა ჩვენი საუკეთესო გუნდებისაგან. მთელ ჩვენს ძალღონეს ვაძაბავთ იმისათვის, რათა შევინარჩუნოთ ადგილი „ა“ კლასში. ჩვენი ახალგაზრდა გუნდი საუკეთესო შედეგების მოპოვებას შეეცდება.

ჩვენთვის ტურნირის ყოველი მონაწილე ძლიერი მოწინააღმდეგეა.

### ალექსი აბრამოვი

**კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“**

კოლექტივის ამოცანაა გააუმჯობესოს გასული წლის სატურნირო ადგილი და მოხვდეს პირველ ათეულში. ძირითად მეტოქეებად ვთვლით ლენინგრადის ორივე გუნდს, მოსკოვისა და ხარკოვის „ლოკომოტივს“ და ვვს-ს. ამავე დროს იმედი გვაქვს ლიდერებთან ბრძოლაში არა ერთი და ორი ქულა მოვიპოვოთ. ეს ჩვენი ახალგაზრდა გუნდის „ტრადიციაა“.

კოლექტივი ჯერ კიდევ ვერ არის საბრძოლო ფორმაში, მაგრამ საერთოდ მოთამაშეთა ფიზიკური და მორალური მდგომარეობა კარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან სალლიანი

## უშბას მწვერვალზე

უშბა კვამლისფერ ღრუბლებს
მოისევს,
მთებს ემუქრება ელვის ხანჯალით
და გადმოჰყურებს მაღლით ბრძოლის
ველს,
როგორც თორნიკე მთავარსარდალი.

თითქოს შეიძრა ლატფარის ზეცა,
ათასწლის ბოლმას ანთხევენ მთები;
გაელვიძება ჯაფარიძესაც
და წამოდგება თოვლიან მხრებით.

ყველაფერს სიმხნის იერი აძევს,
იწყება ბრძოლა ცხარე და მკაცრი
და ზეცის ბურჯად ამართულ ქვაზე
ბეწვზე ჰკიდია სიცოცხლე კაცის.

ცას აზანზარებს გრიალი მეხთა,
შფოთავენ მთები ნისლნასვამები
და ღალატიან მწვერვალის ბეგთარს
ფოლადის მკლავით გლეჯენ
ხვანები.

ქარმა მორეკა ღრუბლების ფარა,
გზა საით მიდის ახლა ვინ იცის...
ყველაფერს შავი ბურუსი ფარავს,
დაკარგულია ყველა ბილიკი.

არ დაფერფლილა იმედი მაინც,
ჯერ არ უგრძვნიათ ვაჟკაცებს
დაღლა
და შუბლგაბზარულ მრისხანე
რაინდს
მთასვლელთა გუნდი მოექცა მაღლა.

ნისლის მანდილით ჰრილობას
იხვევს
მთა შერისხული და ნაავდრალი;
დაეცა, როგორც ქაჯეთის ციხე
უშბა ზვიადი, მთების სარდალი.

ზაქარია შერაზადიშვილი

## ფინალი

ელვარებს ჩვენი ლაჟვარდი, თბილი და კალთაგაშლილი,
მაღალი, ვრცელი უსაზღვროდ—როგორც საბჭოთა კავშირი.
შემოდგომაა თბილისში, სიუხვე ენით უთქმელი,
სამშობლოს ყველა კუთხიდან გვეწვივნენ კალათბურთელნი.
ნავარდობს ბურთი, ნავარდობს ხელიდან ხელში მფრინავი,
და გამართულა თბილისში შეხლა, ბრძოლა, თუ ფინალი.
თასია დასაპყრობელი, არის ჯაბი და ცილობა.
ხალხო, რას აგვეფარენით, დაბრძანდით, მამაშვილობას!
—ხმელ-ხმელმა, ტანად მორჩილმა და უკვე ხანში შესულმა,
—შესძახა ბიჭებს, მის წინ რომ ბეჭფართედ გადამესრულან.
კრთიან ფერგადალეულნი, საითაც კაცი გახედავ,
დროდადრო ისმის მკერდიდან მომსკდარი ამოძახება,
ჩვენი გაიჰრა! — ამოდ! — არც იქ დაუხვდნენ ნაკლებნი,
ხანაც ბურთები კალათში—ცვივიან როგორც კაკლები;
ცვივიან, მაგრამ კალათებს ჰქონიათ ავი თვისება,
ვით საწყაული უძირო—ავსებენ,—აღარ ივსება.
ავსებენ,—აღარ ივსება, ექნებათ რამე თილისმა,
დაბოლოს თასი, ვით დავლა—მაინც დაიპყრო თბილისმა.

„საბლიტგამი" უშვებს ახალგაზრდა პოეტ ზ. შერაზადიშვილის კრებულს, საიდანაც ამოღებულია ეს ლექსი. პოეტმა იგი მიუძღვნა სსრ კავშირის თასის პირველ მფლობელს—თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდს.



საქართველოს კოლმეურნე ძალოსანთა კონკურსის მონაწილე ბათუმის რაიონის წარმომადგენელი ა. მარკოსიანი, რომელმაც აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა.

ფოტო ნ. ვოლკოვისა

## სოფლის ძალოსანთა რესპუბლიკური კონკურსი

14-15 აპრილს თბილისში „დინამოს" სასპორტო დარბაზში ჩატარდა კოლმეურნე ძალოსანთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ახალციხის, აბაშის, წყალტუბოს და სხვა რაიონების 60 ძალოსანი.

უძლიერესთა შერკინებაში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდნენ: გ. მაისურაძე (აფხაზეთი) — 146 ქულა, ე. თედეევი (სამხრეთ ოსეთი) — 210 ქულა, ა. მარკოსიანი (აჭარა) — 253 ქულა, მ. კოტაევი (სამხრეთ ოსეთი)—205 ქულა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა (598,5 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის კოლექტივი (581 ქულა), მესამეზე — აჭარის ძალოსნები (426 ქულა).

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში მონაწილე დანარჩენი გუნდები ძალზე მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, რის გამოც შეჯიბრებიდან გამოვიდნენ. ეს იმის შედეგია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები ფორმალურად მიუდგნენ კონკურსის მონაწილეთა შერჩევას. გორის, თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, მახარაძისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა, მართალია, ჩაატარეს ძალოსანთა რაიონული შეჯიბრებები, მაგრამ რესპუბლიკურ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად არ გამოგზავნეს მონაწილენი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ხარვეზებისა შეჯიბრება ინტერესით ჩატარდა.

## სსრ კავშირის XII ჩემპიონატი ფეხბურთში

### მატჩები აპრილში

21. „ნეფტიანიკი" (ბაქო) — „დინამო" (მინსკი), „სპარტაკი" (თბილისი)—„ტორპედო" (მოსკოვი). 23. „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) —ცდკა, „ტორპედო" (სტალინგრადი) — ვვს. 24. „შახტიორი" (სტალინო) — „ლოკომოტივი" მოსკოვი), „დინამო" (კიევი) —„დაუგავა (რიგა), „სპარტაკი" (თბილისი) —„ზენიტი" (ლენინგრადი), „ლოკომოტივი" (ხარკოვი) —„დინამო" (ლენინგრადი), „ნეფტიანიკი" (ბაქო)—„დინამო" (მოსკოვი). 25. „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (ერევანი)—„დინამო" (მინსკი). 27. „დინამო" (კიევი)—„სპარტაკი" (მოსკოვი). 28. „ლოკომოტივი" (ხარკოვი)—„შახტიორი" (სტალინო), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი)—ვვს, „დინამო" (ერევანი) — „ზენიტი" (ლენინგრადი), „ტორპედო" (სტალინგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „დაუგავა" (რიგა)—„დინამო" (ლენინგრადი), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი). 29. „ნეფტიანიკი" (ბაქო)—„სპარტაკი" (თბილისი).

თამაშები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე.

## მოედნის გასამწვანებლად

საჩხერის სასპორტო მოედანზე „ტყის დღეს" 16 აპრილს მოედნის გამწვანების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის მოწინავე ფიზკულტურელებმა. ქ. თურმანიძემ, გ. აბჟანდაძემ, ა. ხოხიაშვილმა და სხვებმა ამ დღეს დარგეს 250-მდე ალვის ხე.

ი. მღებროვი



უნგრელი ტანმოვარჯიშეები უკვე კარგა ხანია ღია ცის ქვეშ აწარმოებენ წვრთნას. სურათზე: ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე ლეონა ხორვატი ვარჯიშის დროს ასრულებს აკრობატულ ნახტომს.

## ქრონიკა

⊙ შვედი მეთხილამურე დან ნეტცელი ტრამპლინიდან 135 მეტრზე გადახტა. ეს არის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში.

⊙ ცენტრალური ამერიკის პირველობაზე რაფაელ ფორტიუნმა 100 მეტრი გაირბინა 10,2 წამში და უკან მოიტოვა მაკ-კინლეი და ლა-ბიჩი. შეჯიბრების დროს მორბენალს ხელს უწყობდა ზურგის ქარი.



ბათუმში ჩატარდა მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრება მძლეოსნობაში, კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა პირველი ქართული სკოლის მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდმა. სურათზე: პირველი და მეექვსე საშუალო სკოლების კოლექტივთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო კ. საბახტარიშვილისა

## მატჩები სასკოლო გუნდებს შორის

ფიზკულტურისა და სპორტის აბაშის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო სასკოლო შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში.

კალათბურთში პირველი ადგილი დაიკავა დაბა აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლის გუნდმა, ფრენბურთში კი პირველობა მოიპოვეს დაბა აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლისა და სოფ. განკარის რვაწლიანი სკოლის გუნდებმა.

მ. ბუხაიძე

აბაშა.

## ჩოგბურთის ბადესთან

**მოსკოვი, (ჩვენი კორ.).** დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა და პოლონელ ჩოგბურთელთა ამხანაგურმა მატჩებმა, რომელიც ჩატარდა მოსკოვში „დინამოს" დახურულ კორტებზე. კოროვინამ (სსრ კავშირი) დაამარცხა ენდჟეევსკაია (პოლონეთი), ოზეროვმა (სსრ კავშირი) მოუგო პენტეკს (პოლონეთი), კორჩაგინმა (სსრ კავშირი)—ხიტროვსკის (პოლონეთი). პოლონეთის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ვ. სკონეცკიმ დაამარცხა ანდრეევი (სსრ კავშირი). ახალგაზრდა პოლონელმა სპორტსმენმა რადზიომ მოუგო მაკროტას (სსრ კავშირი).

მამაკაცთა წყვილში ვ. სკონეცკიმ და პენტეკმა მოუგეს ოზეროვს და ანდრეევს, ნეგრებეცკიმ და კორბუტმა ხიტროვსკისა და ვ. სკონეცკის.

შერეულ წყვილში—შეხვდნენ ენდჟეევსკაია და ვ. სკონეცკი და კოროვინა და ოზეროვი—გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა.

## 102 მოსწავლის მონაწილეობით

**ქუთაისი.** ამ დღეებში ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა განათლების განყოფილების ფიზაღზრდის ინსპექციასთან ერთად ჩაატარა შეჯიბრება ტანვარჯიშში, რომელშიც 102 მოსწავლე მონაწილეობდა.

იარაღებზე ვარჯიშის კარგი ტექნიკა გამოამჟღავნა ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლემ—პირველთანრიგოსანმა ბ. ჩიკვაიშვილმა, რომელმაც მოიპოვა ქალაქის ჩემპიონის წოდება მოსწავლეთა შორის.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქ. დარახველიძემ.

ზ. მესხიშვილი

(ჩვენი კორ.).

## ოსტატის ნიშანი

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა „სპორტის ოსტატის" სამკერდე ნიშნის ერთიანი ნიმუში.

მოვერცხლილი და ოქსიდირებული სწორკუთხედი ნიშანი, რომლის ზომაა 20×22,5 მმ. სამ მხრიდან მოვარაყებულია წითელი მინანქარით. ნიშანს აქვს წარწერა „СССР" და მინიატურული ვარსკვლავი დაფნის ფოთლების ფონზე ცენტრში წარწერით: „Мастер спорта".




მოსკოვის ფაბრიკა შეუდგა ნიშნების დამზადებას. მოკლე ხანში ახალი ნიმუშის ნიშნები დაეგზავნებათ ფიზკულტურის კომიტეტებს სპორტის ოსტატებისათვის გადასაცემად.

**სურათზე:** სპორტის ოსტატის ნიშანი (ორჯერ გადიდებული).

## უცხოეთის ფოსტიდან

# ჟიულ რიმე პენსიაზე გასვლის წინ

ამას წინათ დასავლეთ ევროპის პრესამ და რადიომ გაავრცელა გადასაცა ცნობა საფრანგეთში საფეხბურთო ნაციონალური ფედერაციის ახალი თავმჯდომარის არჩევის შესახებ. ასე გახდა ცნობილი ჟიულ რიმეს გადადგომა.

ჟიულ რიმე მეტად ტიპიურია ომისშემდგომი დასავლეთ ევროპის სპორტისათვის. ეს ის ჟიულ რიმეა, რომლის სახელი დაერქვა მსოფლიო თასს. ამ სახელობის თასზე გათამაშება ახლო მომავალში დაიწყება ბრაზილიაში.

მაგრამ თვით ჟიულ რიმეს აქვს არანაკლებ „სახელოვანი" წარსული. ეს ის რიმეა, რომელმაც საფრანგეთის დემოკრატიული პრესის ცნობებით გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში ფაშისტების დახმარებით გაძარცვა ფრანგი ებრაელები და ამ სახსრებით ახლა მან შექმნა ბულვარული სპორტული გაზეთი „ეკიპი".

ეს ის რიმეა, რომელიც ჯერ კიდევ საერთაშორისო ნაციონალური ფედერაციის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას იყო მთავარი ინიციატორი ფრანგი ფეხბურთელების ინდოჩინეთში გამგზავრებისა. ამით მან ასიამოვნა ფრანგ კოლონიზატორებს, ხოლო ფრანგი ფეხბურთელებისათვის კი არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, გარდა მოქანცულობისა და მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეების მწყობრიდან გამოყვანისა.

ეს ის რიმეა, რომელიც ყოველნაირად ხელს უშლიდა დემოკრატიულ ქვეყნებთან კონტაქტის დამყარებას, სამაგიეროდ მან საერთაშორისო შეხვედრათა კალენდარში შეიტანა მატჩი ესპანეთთან და ამით საბაბი მისცა „კოლომბის" სტადიონზე ფაშისტურ გამოხდომას, ხოლო ამას წინათ ბანკეტზე იგი გამოვიდა კატალონიის ჯალათის მასკადოს მეხოტბედ.

ეს ის რიმეა, რომელმაც თავის მეპატრონეთა სურვილით პარიზში მოაწყო მატჩი იუგოსლავიის ფეხბურთელებთან და ამით ტიტოს საელჩოს საშუალება მისცა ეს მატჩი გამოეყენებინა პროპაგანდისტული მანევრისათვის.

ეს ის რიმეა, რომელიც მუდამ იყო და დარჩება ფეხბურთელთა პროფკავშირის შექმნის მოწინააღმდეგე. მის ეშინოდა, რომ ასეთი კავშირი ხელს შეუშლის სპორტსმენთა თავშეუკავებელ ექსპლოატაციას.

კიდევ შეიძლებოდა რიმეს ასეთი „მოღვაწეობის" ჩამოთვლის გაგრძელება.

საფეხბურთო ნაციონალური ფედერაციის საბჭოს სხდომაზე რიმემ დასვა საკითხი საფრანგეთის ფედერაციის წევრად საარბრიუკენის (საარის დედაქალაქი) კლუბის მიღების შესახებ, იმ ქალაქისა, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ომისშემდგომი ვალდებულებების დარღვევის შედეგად შეიყვანა საფრანგეთის შემადგენლობაში, თითქოს „ავტონომიურ საწყისებზე".

რიმეს გამოსვლა ატარებდა სკანდალურ ხასიათს. რადგანაც იგი იბრძოდა საარბრიუკენის მიღებისათვის და პროტესტს აცხადებდა საფეხბურთო ნაციონალურ კლუბში ქალაქ ორადურ-სიურ-გლანის მიღების წინააღმდეგ, იმ ქალაქისა, რომლის მოსახლეობა გერმანელებთან ომის დროს მონაწილეობდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გამო რიმეს მფარველებმა ვერ შეძლეს დაეცვათ თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებული მისი კანდიდატურა. რიმეს კანდიდატურა სასტიკად გააშავეს. მან 300-ის ნაცვლად მოაგროვა მხოლოდ 147 ხმა.

ამრიგად ჟიულ რიმე უკვე აღარ ხელმძღვანელობს საფრანგეთის ფეხბურთს, მაგრამ იგი წინანდებურად სათავეში უდგას საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციას.

საფრანგეთის დემოკრატიული პრესა ყველა პატიოსანი ფრანგის იმედს გამოხატავს, რომ რიმე ამ პოსტზე დიდხანს ვერ დარჩება — მისი ადსასრული მოახლოვებულია.

ა. ბრაგინსკი

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით. || რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 029332